№ 29 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ფასი 50 მანეთი

# „თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 1000 მან., ნახევარი წლით 600 მან. თითო ნომერი—50 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ქართ. ბეჭდვითი ამხ. სტამბაში, რუსთ. პრ. № 26. წერილები და სხვა ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს თბილისი რედ. „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს.
ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, ღვინობისთვის 3 | გამოცემა 1920 წ.

# სამშობლო სცენის დამსახურებულნი ქურუმნი



ვ. გუნია. ვ. აბაშიძე. ვლ. ალ.—მესხიშვილი.

## ჩვენი რეჟისორები







ალ. წუწუნავა. ალ. ახმეტელი. მ. ქორელი.

# სადღეისო.

### იძულებითი სიჩუმე.

ძირფასო მკითხველო, ორი თვეა იძულებით გაჩუმებული ვიყავით: თვალი დაუდგეს ჩვენს ყველაზე უფრო დიდს სიმშილობას—უქაღალდობას, ტეხნიკურს მიზეზებსა და საარაკო სიძვირეს,—სხვისთვის რომ თუმანი კაპეიკი არცკია, ჩვენ ისევ თუმნად გვითვლიან. მაგრამ შენმა თანაგრძნობამ დაგვაძლევინა დაბრკოლება და კვლავ ვიწყებთ გამოცემას.... ვეცდებით ახლო მომავალში ჟურნალის გამოცემის საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ და შეუწყვეტლივ გემსახუროთ სხვადასხვა კითხვების გასარკვევად. გასარკვევი კი ბევრია; ჯერ ერთი რადაც უნდა ღირს ჩვენი ხელოვნების აღორძინების დასაწყისი!—მაშ სასოებით შევუდგეთ ბრწყინვალე მომავლისთვის მუშაკობას.

### ჩვენი ხელოვნება.

ჩვენი ხელოვნების აღორძინების საქმე თითქო გაყინულ ადგილიდან დაიძრა. ქართულ დრამას მთავრობა მოეპატრონა,—თანხა და ბინა გაუჩინა. დასი უკვე შესდგა, სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილ-დამსახურებული და მცოდნე პირნი. ზოგიერთ დაბაში სათეატრო დარბაზი ააგეს, ზოგან აშენებენ (სოფლებშიაც-კი); სოხუმს, ბათომს და ქუთაისს დასები შესდგა, სახალხო თეატრმა კიდევ უფრო გაბედვით დაიწყო სეზონი („ღალატი") და სასცენო მუშაკობას ფართო სახალხო ხასიათი ეძლევა. ოპერამ ფარდა „აბესალომ და ეთერით" ასწია,—საერთოდ ხმაურობა დიდია, მაგრამ თითქოს ხმაურობაა... ჯერ კიდევ არა სჩანს ის ღვთიური ცეცხლი, უმაღლესი სიყვარულით გამთბარი და შინაგანი ალღოთი განცდილ-შეცნობილი, ხელოვნებას რომ თან ახლავს. ხელოვნების წინსვლისათვის კი ეს საჭიროა, რათა ხელოვან-ქურუმსა და მაყურებელ-მსმენელთ შორის მტკიცე კავშირი გაიბას.

საოპერო რეპერტუარი თუ მშობლიურ ჰანგებით არ გამდიდრდა, ისე დათვის სამსახურს გაგვიწევს. ამისთვის კი საჭიროა ქართველი კომპოზიტორთა მიმართ უფრო მეტი ყურადღება, სიყვარული, თანაგრძნობა, აგრეთვე ქართული სკოლის მომღერლების გარშემოკრება.

სამუსიკო ნაწილში უკვე ჩუმი მუშაობაა, ახალგაზრდა მხატვრებიც ირაზმებიან...

საერთოდ მდგომარე სეზონის ხელმძღვანელთ თუ მეტი სიყვარული, სარისტიანობა, თვითმოქმედების უნარი გამოიჩინეს, მიუდგომლად და შეთანხმებით იმუშავეს, იმედი უნდა ვიქონიოთ ნაყოფი თვალსაჩინო იქნება.

# წერილები თეატრზე.

### ქართული დრამა.

### IV.

მეორე სახელმწიფო თეატრში (ყოფ. საარტისტო დაიწყება ახალი ქართული დრამ. დასის სეზონი. საზოგადოება გულის ფანცქალით მოელის პირველ წარმოდგენას. გულის ფანცქალით მეთქი ვამბობ, რადგანაც იმ მრავალმა წარმოდგენამ, რომლებიც წარსულში იმართებოდა თბილისის ამა თუ იმ თეატრში, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველას ეჭვი ეპარება ჩვენი თეატრის აღორძინებაში; აღარავინ ელის ნახოს ქართულ სცენაზე ოტელლოს თუ ურიელ აკოსტას ნამდვილი გამსახიერებელი. ახალი დასის მუშაობას ბევრი რამ შეუძლია; მას შეუძლია გაავსოს ქართული თეატრის აუდიტორია და შეუძლია დააცარიელოს დიდი ხნით. უკანასკნელს ღმერთმა გვაშოროს. ერთმა მოღვაწემ, თეატრზე საუბრის დროს, მითხრა „ისეთები მოხვდენ ახალ დასში, რომ მათგან კარგს არაფერს მოველიო".

ვინ არიან ახალ დასში? ქართული თეატრის საუკეთესო ძალები, ახალგაზდები. შეიძლება ნათლი-მამობით და მამიდა-შვილობით მოხვდენ რამოდენიმე უნიჭონი, მაგრამ ესენი პირველ სეზონშივე დასტოვებენ სახელმწიფო თეატრს. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ერთი წლის მოღვაწეობით ახალი დასი გაიწმინდება, უნიჭონი გამოვლენ და მათ ადგილს დაიკავებენ ისინი, ვინც დღეს გარეთ დარჩენ; ახალ დასში ძველი სტუდია მთლიანად მიიღეს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო თუ გვსურს მთელი ახალი დასის შედგენა. შეიძლება პირველ ხანებში მაინც მათი მუშაობა ვერ იქნეს სასურველი, მაგრამ ამით ქართულმა საზოგადოებამ გული არ უნდა გაიტეხოს, პირველი წარმოდგენები ახალგაზრდა ძალების გამოცდა იქნება და ამ გარემოებას ხალხმა ანგარიში უნდა გაუწიოს. ჩვენ გვწამს, რომ ქართული თეატრის მზე ამოდის და ახლო მომავალში სავსებით გაანათებს.

### V.

### სახალხო-თეატრი.

ქართული თეატრის საუკეთესო ძალები, გამოცდილი რეჟისორები ახალ დასში მიიწვიეს და სახალხო სცენა უპატრონოდ დარჩა. ადვილი შესაძლებელია სახ. სცენა ხელში ჩავარდეს ისეთ სცენის მოყვარეებს, რომლებსაც ხელოვნების არაფერი გაეგებათ და თეატრს ვაჭრული თვალით უყურებენ. დღესაც სხვა და სხვა უპასუხისმგებლო პირები დგავენ წარმოდგენებს და უმსგავსო თამაშით ხალხს თეატრს აძულებენ. გუშინდელი შესული სახალხო სცენაზე დღეს რეჟისორად გვევლინება, გუშინ რომ „ღალატში" სტატისტს ასრულებდა, დღეს თვითონ დგავს „ღალატს" და ოთარ ბეგს ან სულეიმანს სთამაშობს. ამაზე ითქმის „სოფელი ვნახე უძაღლო შიგ გავიარე უჯოხოო". ასეთ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს მსახიობთა კავშირმა. კავშირს ამ დარგში დიდი უფლებები აქვს და ეს უფლებები უნდა გამოიყენოს. ჩვენი აზრით კავშირმა უნდა დაუგზავნოს მიმართვა ყველა სახალხო აუდიტორიებს, კლუბებს და სხვას, რომ კავშირის ნება დაურთველად არავის მისცენ უფლება წარმოდგენის გამართვის. თუ ეს მოუხერხებელია პრო-

ვინციაში თბილისში მაინც შეიძლება. ამნაირად იქნება ერთი ცენტრი, რომელსაც ყველა მსახიობი თუ სცენის მოყვარე ანგარიშს გაუწევს. როცა ეს განხორციელდება, კავშირს შეუძლია წარმოდგენებიდან რამოდენიმე პროცენტი თავის სასარგებლოდ აილოს და ამნაირად ზოგიერთი დაუძლურებელი მსახიობი უზრუნველ ჰყოს.

დროა გაიწმინდოს ხელოვნების ტაძარი და „დიდი შოლტით გამოიდევნოს იქიდან მოვაჭრენი“.

შალვა გომართელი.

# ერთი ათასთაგანი

(მოთხრობა თანამედროე ცხოვრებიდან)

## I.

იყო და არა იყორა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო საქართველოში და დღესაც ბრძანდება განცხრომით და განსვენებით კაცი ვინმე და სახელი მისი დავით ვახტანგიჩ პარსიაშვილი. ძალიან სწყინს, თუ დავითს მოიხსენებენ ვახტანგის ძეთ, უთუოდ „იჩით“ უნდა მოიხსენონ; „ეს უკულტურობაარ“, იტყვის ხოლმე დავითი. მაგრამ გვარს-კი ვერა მოუხერხა-რა. ძველი რეჟიმის დროს სურდა მისი გამოცვლა; სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილისავით, ბევრი ეცადა გვარის გადაკეთებას. მაგრამ ვერა მოუხერხა—რა: ხან, პარსიოვს სწერდა, ასე გასინჯა ერთხელ სცადა სომხური დაბოლოვებაც მიეკა პარსიანცი, „პარსვა მაინც ვერ განდევნა. დავით პარსიაშვილი იყო მხდალი, მფთხალი, ცოტა'რამ ვირეშმაკა, ამოდენივე გაიძვერა, ძალიან იღბლიანი სამსახურში. მაგრამ ჯერ წინამასწრობას თავი დავანებოთ და იმის იღბლიანობაზე ქვემოდა ვთქვათ. ამხანაგობაში იმას „ჩუკლუკს“ ეძახდნენ, რაკი მისმა ბალმა გვიან გამოისხა ფოთოლი; ამ სახელის შინაარსი, თუმცა არ იცოდა, იქნება დღესაც არ იცის, მაგრამ ძალიან სწყინდა, იცოდა რა, რომ ამ სახელის დამრქმევლებმა, უეჭველია, კარგათ იცოდნენ მისი მნიშვნელობა. მეზობლები კი ამბობდნენ, დავითი სულ პირწავარდნილი ვახტანგიაო, მამასავით გაიძვერაა, რაც მიწის ზემოდ დადის, ორს იმდენს მიწის ქვეშაო.

ქართული ანდაზაა: „კვიცი გვარე უნდა ხტოდესო“, ეს სრულიად გაამართლა დავითმა. იგი მამის კვიცი იყო და მამასავით ხტოდა. მამა მისი მაზრის სამმართველოში მსახურობდა, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. მოგეცა ღვთის წყალობა, ვახტანგი პარსავდა ხალხს; არაფერს არ უკადრისობდა: სუქან-სუქანი ინდოური, ქათმები, გოჭები, ღვინო დღე მუდამ ბაწარალებით მისდიოდა სახლში; ფულს ხო ნუღარ იტყვით, ნიხრით იღებდა ქრთამს. ერთხელ, ერთმა მიკიტანმა კინაღამ უცბადედათ გამოამზევა ვახტანგის მექრთამეობა. მიკიტანმა გასტენა ღვინით კარგა მოზრდილი ტიკჭორა, დაიჭირა კარგი თეთრი შიშაგი და გასწია ვახტანგთან სამმართველოსაკენ მადლობის გადასახდელად, რომ დუქანი არ დაუკეტინა. ბედზედ ვახტანგი შეხვდა.

—ბიჭო, თედო! ძალიან შიშაგი გყოლია! საით მიაჭყირებ?

— თქვენთან გიახლებით ამ ძღვნით,

— შე ჩერჩეტო, სახლში წაიღო, ის არა სჯობია. გოჭს რო ქუჩა-ქუჩა დააჭყვირებ, ხო ქვეყანა შემიყარე ან უკან წადი, ან სახლში წაიღე ჩემსას; გაფთხილებ დღეის უკან ცოცხალი გოჭის მოყვანა არ გაბედო, დაკალ და მოიტანე. შემოგზანილი ხომ არავისგან ხარ...

— რას მიბრძენებ, ბატონო! თქვენს ამაგს ამითი ვერ გადავიხდი, სააღდგომოთ სხვა იქნება.

პატარა დათიკო პარსიაშვილი წუწკი ძაღლივით დღე მუდამ ჭის კარებს მისჩერებოდა, აცა, ვნახო, ვინ რას შემოიტანსო. ხშირად ქათამს და გოჭებს თაფლი და კარაქიც მოსდევდა, სხვა-და-სხვა ხილეულობა; დათიკო იქ თითს ამოკრავდა და გაილოკდა, აქეთ ვაშლს ჩაკმეჩნდა, ერთი სიტყვით, იმის ყბა მთელი დღე წისქვილივით ფქვავდა. პატარობაშივე იგემა ქრთამი, დარწმუნდა რომ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო მოწყობილი ცხოვრება, რომ დაბალთ „ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ —პოეტის არ იყოს,—უნდა ეტენა კუჭი და ჯიბე. ეს მცნება, პატარაობიდან მტკიცედ აღბეჭდილი დავითის ჭკუა გონებაში, გაჰყვა მას დიდობაშიაც და მრწამსად გადაექცა.

დავით პარსიაშვილმა გიმნაზიის გათავების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელსაც უსუნა, ორ წლამდე დაჰყო ნიშანი მიიკრა გულზე და ამაყად დაიარებოდა. სანატრელი სასიძო გახდა. ჩვენებური „მოამრუსკე ბარიშნები“ სულ თავს ევლებოდნენ. დედა-მისი ცას ეწეოდა სიხარულით, რომ „ბარიშნები“ იმის დათიკოს კალთებს აგლეჯდნენ და საარშიყოთ ეწეოდნენ. მამა-კი თავის ადგილს უმზადებდა, ადმინასტრაციაში.

— დავბერდი, ნენე. ეტყოდა ხოლმე ვახტანგი ცოლსა, ახლა მე მოსვენება მეჭირვება; შეძლება საკმაოდაც შევიძინე, ჩვენ წავიდეთ სოფლად, ჩავქოხოთ რამე და მამულში ვიცხოვროთ, ჩემს ადგილს დათიკოს გადაულოცამ თუ ჩემსავით სარისტიანად მოიქცევა, ქონებას შეიძენს, თანდათან სახვეჭი დრო დგება, საძრახისი არა არის—რა; ყველა ქრთამით სცხოვრობს: უფროსი ორას თუმანს იღებს, ჩემისთანას ორმოცდა ათი თუმანი რას ეძრახვის; ქვეყანა ასეა დაწესებული.

— მაშ, არა და! აგრეა, მაშ! ჩემი შვილი კოხტაძიანთ ილიკოსავით ბედოვლათი არ არის; ვენაცვალა ჩემს დათიკოს, ჭკვიანი ბიჭია, სთქვა ნენემ.

— ბედოვლათია და აკი ამიტომ სილარიბით გვერდებში გასდის სინათლე. . . იმ დღეს მე მაგონებს საზოგადოებაში: მოქრთამობა დიდი ბოროტებააო, ღლისით მზისით ქურდობააო; სხვის ოფლით, სხვის ახით ჯიბე-უბის გატენა, გაუმაძღარი კუჭის სამსახური საკადრისი არ არისო. დადის და სულ ამას ქადაგობს გლეხობაში

— ახალ მოდნის კაცი გახლავთ, რაღა! ხელის ქნევით და ზიზღით ჩაურთო ნენემ. რა ქვიათ მაგ ახალ მოდის ვაჟბატონებს?..

— ეგენი სოციალისტები არიან, ჩემო ნენე! დეე ილაპარაკონ; ლაპარაკს ქარი წაიღებს და მე-კი გლეხი ელიდან არ წამივა, არ მოიტანს, წავუჭერ ხრიალს ხრო დაიწყებს, უთქმელადაც მოიტანს.

— ენაცვალოს დედა, დათიკოს ჩემს ღვთისნიერია, უწინამც დღე დამლევია, რომის იმ ახალ მოდნის ყმაწვილებს გაჰყვეს.

— აქ არა ვარ, ისეთ პაგაზე დავაბამ, რო თუ თავში აქ რამე იმისთანა, სულ გამოეყაროს.

ხოფ. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

# თეთრი ზმანება

მწვანე ხავერდით მორთულ ოთახში, საცა კედელზე ობლად ჩამოკიდებული იყო ქართველ მწერალთა ორიოდე სურათი, მივესვენე ტახტზე.

...მოპირქუშებული დღე... მოპირქუშებული ოთახი..... თეთრ ზეწარ-გადაფარებული ჩემი ტანი ამ სევდის ოჯახს უფრო მეტ სევდის ღრუბელს ჰფენდა.

ფანჯარაზედ შემომესმა დრო-გამოშვებითი ნელი ... და წვიმის წყნარი ნანინის გავლენით მიმელულა.

...ის ნაბიჯით მომიახლოვდა ქალი, თეთრის გაშვებულ... კაბით, მწყემსის ყავარჯნით, თმა გაშლილი, უბრალო ...აფნის გვირგვინით, ქალი მშვენება, ზე ქვეყნიური დ... ...ავს დამადგა.

მძიმედ გაიღო ბაგენი და მომესმა უცხო რამ საგალობელი, გალობა ნა..., გალობა წმინდა, მაგრამ უღრესად სევდიანი. ნელ-ნ...ა ირხეოდენ ბაგენი მისნი და ნაზი საგალობელი ჩემს სულს თან იტაცებდა სადღაც შორს—შორს მარადისობის სამფლობელოში... მომინდა მუდამ იქ ყოფნა იმ უდაბნოში, საცა თითქოს არ იყო არც ერთი ხორცსხმული, ყველას რაღაც სევდის დოლბანდი ჰქონდა გადაფარებული, მაგრამ ყველა ისინი საშინლად იზიდავდენ ჩემს სულს... სულს ზღვა სევდის მფლობელს.

ის კი, ის უცხო ზმანება კვლავ აქ იდგა.

კვლავ მესმოდა მისი უცხო საგალობელი და ვკითხე.

— ვინა ხარ შენ ჰაეროვანო, საიდან მოხველ, სად მიგყევარ?

სიმღერა იგი არ შეწყვეტილა და პასუხად კი მის უცხო, თოვლივით თეთრ სამოსელზე ამოიქარგა სიმბოლო სიყვარულის და თავისუფლებისა.

გულმა იცნო ნაცნობი სიტყვები, ნაცნობი ემბლემა, ემბლემა ცხადში განაცადი და ძლიერად ახმაურდა.

თვალები გავახილე, უცხო ზმანება აღარსად იყო, მაგრამ საგალობელი იგი როიალის დრო—გამოშვებითი აკომპანიმენტით კვლავ მესმოდა!...

**გ. ა—ბელი.**

# ნატო გაბუნია-ცაგარ...ისა.

(მოგონება)

განსვენებული ნატო იშვიათი პიროვნება იყო, მტკიცე ხასიათისა,—მოგაგონებდათ „ოთარაანთ ქვრივს“; მაგრამ ამასთანავე მხიარული, შეუდარებელი მობაასე, გაცნობისათანვე მოგაჯადოვებდათ, გეგონათ მთელი საუკუნის ნაცნობი იყავით, დაირაზე მშვენიერი დამკვრელი და მომღერალი ქართული ჰანგებისა, რაც განსვენებულს საყვარელ და ძვირფას სტუმრად ხდიდა.

ქ. თბილისში ისე არაფერი გაიმართებოდა, რომ ნატო ავან-ჩავანი არ ყოფილიყო. განსვენებულ მეცენატის და მრეწველის დავით სარაჯიშვილის ოჯახის დიდი მეგობარი იყო, თავისი მხიარული ხასიათით და სიმღერით პირველი დამამშვენებელი მათი სალონისა, სადაც იკრიბებოდნენ ჩვენი ქვეყნის გულ-შემატკივარნი.

აგრეთვე მისი თაყვანისმცემელი და მეგობარი იყო დიდი ილია.

თბილისში ცნობილ ექიმ ი. ბეგთაბეგიშვილის ოჯახში ხშირად იმართება საღამოები, სადაც ესწრებიან განსაკუთრებით ხელოვნების და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, ტურისტნი და სხვ. ერთ მათს ღარზე იყვნენ: თბილისის ოპერის პრემიერი ტენორი ბორისენკო, მომღერალი ქალი პოზნიაკოვისა, (სუსტი მომღერალი, სახელგათქმული თავისი სილამაზით), ოპერეტის ნიჭიერი პრიმადონა რაისოვისა, მასთანვე განსაკუთრებით ბოშების ჰანგების აღმასრულებელი, ნატო და სხვ. ვახშამის დასასრულს სტუმრები შეიკრიბნენ დარბაზში, ყველანი გულის ფანცქალით მოელოდნენ მოესმინათ ხელოვნების ქურუმნი, მაგრამ რაღაც ინაზებოდნენ. ნატომ მოითხოვა დაირა, ისეთი ეშხით შემოსძახა ბაიათი, რომ ყველა გააოცა და დიდი ყურადღება მიიპყრო... მაგრამ მგონი ის უკანასკნელი გედის სიმღერა იყო. რაღაც მელანქოთლია გადაჰკრავდა და მხოლოდ ერთხელ კიდევ გამოიჩინა შეუდარებელი ნიჭი თავის შვილობილის თამარის ქორწილში (რომელიც მისთხოვდა კ. ნაროკიძეს, შარშან ტრაღიკულად დაღუპულს ქ. სოხუმში.) ქორწილი გადახდილი იქმნა დიდებულად ქართლში, ქვემოხვედრეთში, ზეიმმა სამი დღე-ღამე გასტანა. დედობილმამობილად დაპატიჟებულ იყვნენ: კნ. ელისაბედ და მამუკა ორბელიანნი, მეჯვარედ ქართული დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე ცნობილი ნიკოლოზ ქართველიშვილი და მე.

რომანტიულად განწყობილ პროვინციელ საზოგადოებაში კნ. ელისაბედ ორბელიანი, ირაკლი. ბატონიშვილის ასული, როგორც პიროვნება, ღრმა-თაყვანისცემის და მოწიწებით მოპყრობის საგანი შეიქმნა.

ნატოს სიცილი-ხარხარს, ენა-მახვილობას, სიმღერასა და კალამბურს დასასრული არ უჩანდა, მაგრამ.. ყველას საზღვარი ჰქონია...

რაღაც ორიოდე კვირაში ქორწილის შემდეგ ს. ქარელში მიიღო მონაწილეობა ადგილობრივ სცენის-მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენაში. მგონი „ხანუმაში“ იქ გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა; ჩამოიყვანეს ქ. თბილისს თავის ბინაზე, მაგრამ ანთების გაძლიერებამ, აგრეთვე გულის სისუსტემ გადაიტა[ნ]ა. ყოველივე ზომა იყო მიღებული მის გადასარჩენად. სწამლობდა ექიმი აბელ იაშვილი და სხ. გარდაცვალებამდის განსვენებულმა ორიოდე წუთით გაახილა თვალები, მიიხედ-მოიხედა და წამოიძახა: „არ გეცოდებით ვკვდებიო!“. მე მაშინვე გავქანდი ექიმთან, ვიდრე მოვბრუნდებოდი, სული დაელია კიდეც.

მისი გარდაცვალების ხმა ელვის სისწრაფით გავრცელდა თბილისში, დეპეშით მოედო პროვინციას... რამდენიმე საათში აუარებელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი განსვენებულის ბინაზე. საღამოზე კი გაასვენეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რადგანაც განსვენებულის ბინა ვერ იტევდა აუარებელ საზოგადოებას. დაკრძალვა ხომ დიდებული იყო,—ამაში დიდი ოსტატები ვართ, პირველ-ხარისხოვანი, და მოცილე ერი არ მოგვეპოება,—მგონი ფრანგების გარდა...

აი, ასე „ულვთოთ“ გამოგვეცალა ხელიდან საქართველოს სცენის დამამშვენებელი ნატო გაბუნია ცაგარლისა.

**მიხეილ ლობჟანიძე.**

# ჩვენი მეცნიერ-სწავლულნი



პროფ. ა. ცაგარელი.

სურათი გადაღებულია 20 წ. წინად.

**ალექს. ანტ-ძე** (1844), — ენათმეცნიერი, დაიბ. 1844 წ. გიორგობისთვის 27 (ძვ. სტ.) მღვდლის ოჯახში. თბ. I გიმნ. დამთავრების შემდეგ შევიდა პეტ როგრადის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ავადმყოფობისა გამო არ დაუმთავრებია. 1866 წ. გაემგზავრა გერმანიას და დაჰყო სამს უნივერსიტეტში: მიუნხენის, ტიუბინგენისა და ვენის (ავსტრს. ეს უკანასკნელი დაამთავრა პროფ. ფრ. მიულლერის ხელმძღვანელობით 1870 წ. 1881 წ-დე პეტროგრადის უნივერსიტეტში იყო პროფესორად, 1920 წ. მაისიდან— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორად. პირველი მისი შრომა ლიტოგრაფ. გამოცემა გამოვიდა 1871 წ პეტრ-ში: „Сравнительный обзоръ морфологіи иберійской группы кавказскихъ языковъ." 1873 წ. დასწერა „О граматич. литературѣ грузинскаго языка СПБ. სამაგისტრო დისსერტაციად დაცული ეტროგრადის უნივერსიტეტში. 1880 წ. სადოქტორო დისსერტაცია—„Мингрельскіе Этюды", в.в. I II, СПБ. (მეგრული ტექსტები, თარგმანით და ფონეტიკაამ ენისა). ეს შრომა 1882 წ. ფრანგულად სთარგმნა ფრ. მოგზაურმა მური[illegible] და გამოსცა ოდესაში, ხოლო 18883 და 1888 წ. წ. იმავე ჟ. მურიემ სთარგმნა მის მიერ ჩაწერილი რამდენიმე ზღაპარი და გამოსცა პარიზში—Contes et legende du Caucase" (იხ. გვ. 37—80—„Contes Mingreliens:" Sanartia Gueria etc. ც—ის შრომანია: 1) О предполагаемомъ сродствѣ груз. языка съ индоевропейскими и турамскими языками (Ж. М. Н. Пр.. № IX, 1872) 2) Поѣздка въ Закавк. край лѣтомъ 1877 г. (Ж. М. Н. Просв. № XI, 1877); 3) Къ Геогр. Мингреліи, (Изв. К. Отд. Р. Геогр. О., II в., V т. 1878); 4) Книга мудрости и лжи, С. Орбеліани, перев. объясн. (1878, СПБ.); 5) Два изслѣдователя кавк. языковъ, (Ж. М. Н. Пр., № 2 1880), 6) Eine georgische jnschrift aus jerusalem, (1881) 7) Новые архивные матеріалы для ист. Груз. 18., (Ж. М. Н. пр. № 1.883); 8) Находки на Синаѣ (Церк. Вѣстн. № 5, 1883; 9) Грузинск. помятники въ Св. Землѣ и на Синаѣ. (1883—4). 10) Преосвященный Порфирій о грузинскихъ древностяхъ, (Зап. Вост. Отд. Р. Арх. Общ. I в. 1886). 11) О памятникахъ груз. письменности (Труды V Ар. съѣзда въ т—сѣ., М. 1887). ეს ნაშრომი ცალკე გამოვიდა (1, 2 და 3 ნაწ.) 12) Переписка Грузинскихъ Царей и кн. съ госуд. Россіискими, (1890); 1) Грамоты и другіе историческіе документы косающіеся до Грузіи, I т. рускіе документы, съ -инскіе тексты Картою Закавказья 1770 II. т. I вып. Груз. II. вып. русскіи перевод. 1768 г. 1801 г. 14) „მოხსენება პროფ. ა. ცაგარელისა ავტოკეფ. შესახებ." (ქუთაისი, 1911); 15) Непререкаемыя права Грузіи на независимость (Тиф 1919) და მრ. სხ.

ამ გვარად ც—ს მუშაობა ეხება ქართველ ხალხს სხვა და სხვა მხრივ: ა) ენა (Срав. обз. Иберіиск. языков, О груз. грамматич. литературѣ, о сродствѣ груз. языка съ индоевропы туринск. яз., Мингрельск. Этоды და სხ.); **ქართული ლიტერატურა** (свѣдѣнія о пом. Груз. письменности, I т. 1, 2, 3, вып. Русскій переводъ книги „Мудрости и лжи" С. С. Орбеліани; 1868 წ. „დროება"—ში წერილი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, მიმოხილვა ქართ. პოეტებისა და მათ ნაწარმოებისა; გ) **ისტორია** (Грузинскія грамоты, I т., 1, 2, 3 вып; მისივე რედაქტორობით მასალა რუსეთის კომისრის ინჟინერ პოლკოვნიკ ბურნაშოვისა, რომელიც ერეკლე მეფის კარზე იყო „Новые матеріалы для жизнеописанія Бурнашева, დ) **არქეოლოგია და ეკლესია** (Памятники въ св. Землѣ и на Синаѣ; კატალოგები ქართულ ხელნაწერებისა ათონზე, იერუსალიმში და სინას მთაზე; „Статьи и Замѣтки о груз. Церк. вопросѣ."—автокефаліи) და სხ.

ცნობები ცის შესახებ იხ. შ. ბერიძის „მეგრ. (ივერიული) ენა." წ. I, ნაკვ. I, გვ. 15—17, 34 (თბ. 1920 წ.); 2) „Словарь Кавк. дѣятелей" 1888 და „Біографич. Словаръ препод. Петерб. Университета С. [illegible] Б.

*) ამოღებულია იოსებ იმედაშვილის ხელნაწერ „ქართველ მოღვაწეთ ლექსიკონი"-დან.

*
* *

სოფელში ხალხი შეყრილა, მათ შუა იდგა ტეტია,
თავზე ქუდ-ჩამოფხატულსა ხელში ეჭირა კეტია.
იძახდა: რასაც თქვენ შვრებით, იმას არ იზამს ცეტია,
ნეტა რა პურობას გიზამს ზეცას რო სთესო ფეტვია.

სხვის ლუკმის წასართმევადა ყურებ ნუ დაგიცქვეტია!
კაცო, შენც გაძარ ხელები, ახსენე მაღლა ღმერთია,
თოხი იხმარე, ან ბარი, გადააბრუნე ბელტია...

**ვასო აფციაური**

# თეატრი ჯარსა და გვარდიაში

ხელოვნების სხივები თანდისთან ღრმად იჭრება ერში. ჯარი და გვარდია ჩვენი ერის ის ნაწილია, რომელიც რაკი ერთხელ განიცდის ხელოვნების სიტკბოებას, ეცდება მთელ სიცოცხლეში აღარ მოიკლოს მასი სხივები.

ჩვენის მხედრობისა და მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯარისა და გვარდიის ნაწილებში უკვე საკუთარი თეატრები იმართება და ჯარისკაც-გვარდიელნი დიდის სიყვარულით ეკიდებიან, როგორც აღმასრულებელნი, ისევე როგორც დამსწრენი. ყველა ჯარირსკაცთა და გვარდიელთა სცენის მოყვარე-მსახიობთ ვსთხოვთ მოგვაწოდონ სურათები და ცნობები.



ი. თარალაშვილი.

ჯარში წარმოდგენების ერთი გამმართველ თაგანია ი თარალაშვილი.

იგი მეექვსე წელიწადია რაც დედაქალაქისა და პროვინციის სცენებზე წარმოდგენებსა მართავს. შნოიანად ასრულებს გლეხის როლებსა და წარმოდგენების ბეჯითი მომწყობთაგანია. ამ ჟამად მიწვეულია თბილისის მეხუთე ათასეულში რეჟისორ ხელმძღვანელად. აქ ყოველ შაბათ-კვირაობით იდგმის წარმოდგენები. მონაწილე-აღმასრულებელნი არიან იმავე ათასეულის ოფიცერ-ჯარისკაცნი. წარმოდგენები ჯარისკაცთათვის უფასოდ იმართება.

# ბათომის თეატრი



ვანო ბარველი

ბათომის დასის რეჟისორი.

ბათომის დემოკრატიამ არ უმტყუნა თავის ტრადიციას—ხალხის სამსახურს გამოფხიზლებისა და წინსვლისაკენ მისწრაფებით—და რა წამსაც გარეშე მტრუჭებისაგან თავი გაინთავისუფლა, სასცენო ხელოვნებას სათანადო ყურადღება მიაქცია და მუშაობაც გააჩაღა. ამ დემოკრატიისგან წარმოშობილმა დრამ. წრის გამგეობამ გადასწყვიტა, რადაც უნდა დაუჯდეს, სეზონი აწარმოოს. ნიჭიერ სცენის მოყვარეთა გარდა, მიწვეულია რავდენიმე მსახიობი, ხოლო რეჟისორხ-ელმძღვანელად—ვანო ბარველი, დამსახურებული მსახიობა და ცნობილი მწერალი. სეზონი უკვე დაიწყო („მსხვერპლი“-თ), ვ. აბაშიძის გასტროლით. ხალხი დიდის აღფრთოვანებით დაესწრო. რეპერტუარი შემდგარია რჩეულ პიესათაგან, რეპერტუარში რავდენიმე ახალი პიესაც არის შეტანილი. სცენის მოყვარე—მსახიობნი, ხალხის თანაგრძნობით წახალისებულნი, ბეჯითად მუშაობენ. იმედია ადგილ. ორგანიზაციები და უმაღლესი მთავრობა, გაითვალისწინებენ რა, თუ ბათომში ქართული მელპომენის ტაძარს რა დიადი მნიშვნელობა აქვს, ყოველის მხრით ხელს შეუწყობენ, რომ წრემა და დასმა ნაკისრი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ.

# ნაძალადევის თეატრის ისტორიიდან.

(გაგრძელება).

პირველი წარმოდგენა ნაძალადევში გაიმართა გრ. ჩარკვიანის თაოსნობით, მისივე სახლში 1897 წ. 29 მაისს. წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით გაიმართა პირველდაწყებითი სამრევლო სკოლის დასაარსებლად, რომელშიაც მონაწილეობდენ: ს. ციციშვილი, ვ. ურუშოვისა, ო. ხავთასი-შველიძისა, ს. ყალაბეგაშვილი, ივ. ინასარიძე, გ. მარსაგოვი, ი. დარახველიძე, გ. ჯაბაური, დ. შველიძე, ვ. ძნელაძე და შ. საფაროვი.

წარმოადგინეს პირველად: „ძუნწი“, „არსენა“ და „რაც გინახავს ველარ ნახავ“. წარმოდგენებიდან შემოსული ფული მიაბარეს წერეთლისას („ჯეჯილის“ რედაქ.) ამას მოჰყვა სხვა პიესები და ახალი სცენის მოყვარენიც: ს. გოგაშვილისა (მეუღლით), გ. გაბინაშვილი, ს. თევზაძე და გ. სვანიძე. დასდგეს პიესები: „პეპო“, „მზის დაბნელება“, „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“, „კინტო“, „ადვოკატი მელაძე“, „ბრილიანტი“, „თამარ-ბატონიშვილი“, „დაძმა“ და სხ. შესდგა წრე, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა, წარმოდგენები იმართებოდა კვირაობით, უყვარდულო საქალაქო ადგილზე, მოაწყვეს რაღაც ვითომდა სცენის მსგავსი ამაღლებული ადგილი, უსასყიდლოთ მუშაობდა პ. ფთაძე, იოს. დარახველიძე, გ. ჩხენკელი, ივ. ბეჟუაშვილი და ვასილ ღარიბაშვილი; როგორც ფიზიკურს, აგრეთვე იდეურ დახმარებას უწევდა იოს. იმედაშვილი; წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობდენ მოწვეულნი: ქალ. ს. ციციშვილისა, ან. ბადაშვილისა, რჩეულოვისა, ტარიელოვისა, საყვარელიძისა, ბ-ნ ვ. აბაშიძე, იმედაშვილი, ივ. მჭედლიშვილი, ალ. ბაქრაძე და ალ. თამაზაშვილი.

ყველა ზემოჩამოთვლილ პირების ენერგიულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. 1907 წ. შესდგა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო ხუთასამდე ქალი და კაცი. გრ. ჩარკვიანი საზოგადო კრებას აცნობს თეატრის მნიშვნელობას; იმავე კრებაზე ხელი მოაწერა ოთხასამდე მოსურნე პირმა თეატრის დაარსებისთვის ნაძალადევში. აქვე იყო მოწვეული ს. სვიმონიძე (გოგოლაშვილი). მას გადასცეს თავისი განზრახვა და დაავალეს გაეწია ხელმძღვანელობა სცენის მოყვარეებისთვის. პირველი წრე სცენის მოყვარეთა ამ კრებაზედ დაარსდა.

ან კაციაშვილი.

(შემდეგი იქნება).

# ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში.

თანამედროვე ისტორიული ხანით იწყება მეუფება მუშათა კლასისა. თანდათან, შეუჩერებლივ იგი მიიწევს წინ საბოლოო გამარჯვების და ქვეყნად თანასწორობისა და ბედნიერების დამყარებისაკენ.

ჩვენ თვალწინ იშლება უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომელსაც მთელი ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანება წარმოადგენს და რომელსაც სოციალისტური ინტერნაციონალი ეწოდება.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი მაგალითი, არასოდეს არა ყოფილა ცდა მსოფლიო დემოკრატიის კავშირის შესაქმნელად.

ომიანობა, არეულობა და რევოლიუცია სხვა დროსაც ბევრი ყოფილა. ყველასა ჰქონდა ესა თუ ის მნიშვნელობა და გავლენა იმ ხალხზე, სადაც იგი ხდებოდა. მაგრამ ისეთი დიდი და მსოფლიო მნიშვნელობა, როგორიცა აქვს თანამედროვე მუშათა მოძრაობას, არც ერთ სხვა მოძრაობას არა ჰქონია.

რამდენიც არ უნდა იძახონ ძველი დროის მოციქულებმა, ბურჟუაზიის დამქაშებმა, რომ სოციალიზმი დამარცხდაო, მაინც ფაქტი ფაქტად რჩება, მთელი ქვეყნის მშრომელთა შეკავშირება უკვე საიმედო ნიადაგზეა დამყარებული. და რამდენადაც სწრაფად ვითარდება ეს მოძრაობა, იმდენად უფრო ფრთები ესხმება ჩვენს იმედს რომ ადამიანის ტანჯვა-ვაებას ბოლო ელება, რომ ახლოვდება დრო ძალთა განთავისუფლებისა და ბედნიერებისა რადგან ეს არის მცნება ინტერნაციონალში შეკავშირებული მუშათა კლასისა, ამისათვის ღვრის იგი სისხლს და თავგანწირულად იბრძვის ნახევარი საუკუნის განმავლობაში. და დღეს, როდესაც შეკავშირებულ მუშათა ხმას ისეთი დიდი მნიშვნელობა ეძლევა მსოფლიო პოლიტიკაში, განსაკუთრებული და განუზომელი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ევროპის მუშათა კლასის ყურადღებას და მასთან დაკავშირებას.

ევროპის მუშათა კლასის დელეგაციის ჩამოსვლა ჩვენში ამ კავშირის დამყარებისა და მისი გამტკიცების მომასწავებელია. ამიერიდან ქართველი მშრომელი ხალხი შედის საერთაშორისო დემოკრატიის ოჯახში როგორც თავისუფალი და თანასწორი მისი მოძმე. ამითი ბოლო მოეღო ჩვენს მარტოობას, ყარიბობას, დღემდის ისე სასტიკად რომ განვიცდიდით.

დღემდის საქართველოს დემოკრატია მარტო იდგა ბრძოლის ველზე და იარაღით ხელში იცავდა თავის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვარს. ჩვენს გარშემო მხოლოდ მტრებს ვხედავდით და მეგობრად, ქომაგად არავინ გვეგულებოდა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ევროპის მუშათა სახელით მათმა წარმომადგენლებმა თამამად და გულწრფელად გამოგვიწოდოდეს მეგობრობის ხელი და მზად არიან ყოველ გასაჭირში დაგვეხმარონ. ამიერიდან ჩვენ მარტონი აღარა ვართ! საქართველოს დემოკრატია, გამგე და ხელმძღვანელი ჩვენი ქვეყნისა, დღეს უკვე წევრია ევროპის სოციალისტური დემოკრატიის საერთო ოჯახისა და ისე ვერავინ გაილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ, რომ ამითი არ გამოიწვიოს რისხვა ჩვენი მეგობრებისა.

მათი დახმარებით საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა განმტკიცდება და ხალხთა ლიგაში შესაფერ ადგილს დავიკავებთ.

თანდათან იფანტება შავი ღრუბლები და ჩვენი ცხოვრების ჰორიზონტი საიმედო რიგრიგად იწყება.

ეხლა გვმართებს სიფრთხილე და გამჭრიახობა; როდესაც ჩვენი ბედის ნავი უკვე მშვენიერ და საიმედო ნავთსაყუდელს უახლოვდება, სწორედ ეხლა გვინდა სიბრძნე და გონიერება, რომ უკვე სამშვიდობოს მიახლოვებულებმა, უხერხული და უშნო ხელის მოსმით, ნავი ირ გადავაბრუნოთ და აზვირთებულ ზღვის ტალღებს არ მივცეთ იგი.

ჩვენმა პატივცემულმა სტუმრებმა გაკვირვება გამოსთქვეს, რომ საქართველოს მთების მწვერვალებზედაც კი სოციალიზმისნ წითელი დროშა ფრიალებსო. ამავე დროს კი ჩვენს ეკონომიურ ჩამორჩენილობას აშკარად ხედავდენ და მასზე მიგვითითებდენ.

მართლაც რაშია საქმე? როგორ მოხდა, რომ ჰრიმიტიულ მეურნეობის ქვეყანაში 9||10 ხალხისა სოციალისტების დროშის ქვეშა სდგას. ჩვენის აზრით, ეს არის დამსახურება ჩვენი დემოკრატიის ხელმძღვანელებისა, რომელთაც შესძლეს მთელი ხალხის შეკავშირება, ორგანიზაციულად დარაზმვა და შესანიშნავი დისციპლინით გაწვრთნა საერთო ბრძოლის საწარმოებლად და მიზნის მისაღწევად.

ამ საკვირველმა ორგანიზაციამ გადაარჩინა საქართველო ამდენ ხიფათს. მისი წყალობით ვეზიარეთ დამოუკიდებლობას და მისივე მეოხებით დაუკავშირდით ევროპის დემოკრატიას. ამ მჭიდრო ორგანიზაციის დანგრევა იქნებოდა ჩვენი დაღუპვის დასაწყისი. მისი დანგრევა კი ძალიან ადვილია, რადგან კარგად ვიცით (და ამას ვერც დავმალავთ), რომ იმ ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც დღეს ჩვენში სოციალიზმის დროშის ქვეშა სდგას, არ არის არც რწმენით, არც მდგომარეობით სოციალისტი. ეს გარემოება არც ჩვენს სტუმრებს გამოჰპარვიათ და მით უფრო ჰკვირობდენ ისინი, თუ როგორ მოახერხეს ჩვენში ბელადებმა ამ ხალხის ასე შეკავშირება სოციალისტური ლოზუნგების გარშემო.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ელემენტებისაგან შემდგარი ორგანიზაცია მანამდის არის ძლიერი და ურყევი, სანამ პოლიტიკა მისი ხელმძღვანელებისა აკმაყოფილებს უმრავლესობას, სანამ ხალხი ხედავს, რომ ამ გზით მისი სასარგებლო საქმე კეთდება.

პოლიტიკაში და მართვა-გამგეობაში ამ მიზანს მივაღწიეთ. ხალხის უმრავლესობა კმაყოფილია, მტერ-მოყვარენიც აშკარად ამბობენ, რომ საქართველო ერთად ერთი კუთხეა, სადაც წესიერება და თავისუფლება სუფევსო.

მაგრამ სუსტათაა ჩვენი საქმე ეკონომიურათ ცხოვრების მოწესრიგების მხრით. ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა ეს საკითხი. სიძვირე და ხალხის გაჭირვება თან და თან ჰპატულობს და შეაქვს არევ-დარევა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში ეკონომიურ ინტერესებს, ყველამ უწყის, რომ ხალხის უმრავლესობა ადვილად გასცვლის იდეიას, მაღალ მისწრაფებას ცერცვის საჭამადზე. და თუ ამ სატკივარს წამალი არ მოვუნახეთ, ადვილად დაინგრევა ეს სამაგალითო ორგანიზაცია ჩვენი დემოკრატიისა

და მაშინ ჩვენს თავისუფლებასაც უნდა გამოვეთხოვოთ.

ევროპის მუშათა კლასის ჭკუიანმა, გამოცდილმა ბელადებმა ამ გარემოებას ჩამოსვლისთანავე მიაქციეს ყურადღება და აშკარად დაინახეს რაში იყო ჩვენი ძლიერება და ჩვენი სისუსტე.

მთავრობამ უნდა მოიკრიფოს მთელი ძალ-ღონე, მოიხმაროს უნარი ყოველი მოქალაქისა ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

თუ მთავრობას თვითონ არ შეუძლია უზრუნველჰყოს ხალხის გამოკვება და მისი მატერიალური გაჭირვების მოგვარება, მაშინ მან უნდა ხელი შეუწყოს, დაეხმაროს მოქალაქეთ, თვითონ მოაწყონ თავისი საქმე და თავისი უნარით და ინიციატივით მოაწესრიგონ ეს საქმე. ყოველგვარი ზედმეტი აღკრძალვა და ყადაღა მხოლოდ სპეკულიაციას აძლიერებს და ცხოვრებას უარესადა რევს.

ჩვენი ცხოვრების არევა-კი იწვევს მასსიურ უკმაყოფილებას, რასაც ზედ მოჰყვება იმ მტკიცე კავშირის დარღვევა, რომელიც დღეს საქართველოს ხალხში სუფევს.

მაშინ კი უქმად ჩაივლის ყოველივე, ჩვენ დავკარგავთ ერთადერთ მეგობარსაც, რომელიც ამ დღეებში შევიძინეთ და ის სიხარული და განცვიფრება, რომელიც იგრძნეს ჩვენმა სტუმრებმა საქართველოს დათვალიერების დროს, მწუხარებად და უიმედობად შეეცვლებათ.

ჩვენ ვდღესასწაულობთ დიდეს გამარჯვებას—მსოფლიო დემოკრატიასთან დაძმობილებას. უნდა ვეცადოთ, რომ ეს დღესასწაული ხანგრძლივი იქნეს და საოცნებო მოგონებად არ გადაგვექცეს იგი.

სიფრთხილე გვმართებს!..

**დჟრელი**



## სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

სხედან მარცხნიდან: პ. რენოდელი (საფრანგეთი), ქ ნი ჰიუისემანსი; ტ. შოუ (ინგლისი), ქ ნი ე. სნოუდენი (ინგლისი), ა. მარკე (საფრანგეთი), ქ ნი ჰიუისემანსი, ა. ინგელსი (საფრანგეთი)

სდგანან: ოლბერგი, ლ. დე-ბრიუკერი (ბელგია), ე. ვანდერველდე (ბელგია), რ. მაკდონალდი (ინგლისი) ქ ნი ვანდერველდე, კ. ჰიუისმანსი (ბელგია).

# ერთი ნატეხი შვიდი განცდიდან

დამსხვრეული მსოფლიო სულის ვიწრო რკალია,
ძირ გაცვეთილ პოლიუსზე სდგას ვით მჭლე სახედარი;
მასზე ადამის ძენი ხტიან, როგორც კალია,
მზე საზღვრებზე დარაჯობს სხივით უშნო მხედარი
უსულგულო სახეებს, უსულგულო ძირებზე.
შორს გაუდგამს.—ზედ წვიმა მოდის დაუთხოვებლი.
მეზღვაური დაჰკივის—„ვაჰმე, ჩავიძირები.
ბილწ ცხოვრებას თავს ხურავს გაცვეთილი ნოხები.
მას ჰამლეტი ბანს აძლევს:" სად ვეძიო გზა მტკიცე,
თვალ-დაჩრდილულ დღეებში დაინთქება სიცოცხლე,
კაცმა სალი გონებით ვერარა დავიმტკიცე.
ეროდებიან მათხოვრის და რაინდის სიცეცხლე"...
ადამის ძევ უგნურო, რა გსურს?—რას მოიმკიდე?
ცხოვრებას სად დაედო მსხვილ ფოლადის ურდული?
ასი წელი ტანჯვების ცრემლით გამოიყიდე—
და ცრემლთ ზღვაში ინთქები ვით ფრთამალი შურდული.

კოკი ებრალიძე.



დრამატურგი ნ. შიუკაშვილი.
ქართული დრამის დირექციის თავმჯდომარე.



ვლ. ალ. მესხიშვილი—გარლეილი („შეშლილია")
შარჟი შავისა.

# ...მზე ჩაესვენა!
## (მარიამ დედოფალი)

ისტორიულ-დრამატიული სურათი 1 მოქმედებად
(ძლვნად გუგული ებ-ძეს)

**მომქმედნი:**

1, **მარიამ დედოფალი**, გიორგი XII მეფის ქვრივი.
2, **ოთარ ამილახორი**, სახლთუხუცესი.
3, **თურქესტანიშვილი** დიდებული.
4, **ნაცვალი** ქალაქ თბილისისა.
5, **ლაზარევი**, რუსის ჰენერალი.
6, **მსახური** მარიამ დედოფლის სასახლისა.

მოქმედება მარიამ დედოფლის სამეფო დარბაზში ქ. თბილისს 1801 წ. ორი კარი, სარკმელი; მარჯვნივ დედოფლის საწოლი ოთახი. დარბაზი ქართულ ყაიდაზე. მაგიდაზე „ვეფხის ტყაოსანი", კუთხეში ირიბ მაგიდაზე სახარება და ჯვარი.

**I. ნაცვალი და თურქესტანიშვილი.**

**თურქესტ.** (სარკმელში იყურება) რა ენდომება ასე რომ მოიჩქარის?

**ნაცვალი** (საჩქაროდ შემოდის) დედოფალი აბრძანდა თუ არა?

**თურქ.** მგონი არა. რაზე ინებეთ მისი შეწუხება?

**ნაცვ.** ჰენერლისგან ვარ წარმოგზავნილი გუშინდელი წერილის პასუხის მისაღებად.

**თურქ.** ჰმ! ვიცი.

**ნაცვ**, მერე პასუხად რა ინება?

**თურქ.** ეგ მე არ ვიცი, მაგრამ ერთი ჩვენთვისა ვსთქვათ:—მერც ალს რომ ბუდე დაუნგრიო, როგორა გგონია, უომრად დასთმობს?

**ნაცვ.** (ულვაშების კვნეტით, იძულებით) მმართლია, მაგრამ როცა ძალას მოიტანენ?

**თურქ.** როგორ თუ ძალას?—სამართალი, სინიდისი, მართლმსაჯულება?

**ნაცვ.** როგორა გგონია, თავადო, სამართალს, სინიდისსა და მართლმსაჯულებას ჩვენ ეხლა რუსებს ვასწავლით. ხო მოგეხსენებათ რაოდენი სახელმწიფონი დაიპყრო და მორთლმსაჯული რომ არ იყოს, ნუ თუ ეგოდენი შეეძლებოდა?!

**თურქ.** (ზიზღი და მდურვა ეტყობა) მერე

**ნაცვ.** მერე და... დედოფალი მარიამიც უნდა დაემორჩილოს ჩვენი უმაღლესი მეფის განკარგულებას.

**თურქ,** (ეჭვით) მერე ვინ არის ჩვენი უმაღლესი მეფე?

**ნაცვ.** ვინა და რუსთა თეთრი ხელმწიფე—იმპერატორი პავლე.

**თურქესტ.** (ზიზღს ველარ მალავს) ჰმ! აგრე მალე დაგავიწყდათ პურ-მარილი? ვისმან კალთამან შეგიფარათ. ვისმან ხელმან დაგიფარათ და საქართველოში ბინა მოგცათ? ვინ აღგიყვანათ სამსახურში და ქალაქის ნაცვლობა მოგიბოძათ?

**ნაცვ.** ვითომ რაო რომ სომეხი ვარ და საქართველოს მეფე ერეკლემ შემიფარა, ხოლო მისმა შვილებმა დამაწინაურეს!.. დღეს დროება შეიცვალა და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც დროს მოუხდება, მასთან ჩვენც გვარგებს... ან და, ნუ თუ ბატონო, თქვენ თითონ ვერა ჰგრძნობთ, რომ საქართველოს სამეფოს დღეები უკვე დათვლილია და თავისით აღარ ძალუძს ცხოვრება? ეს ერთი. მეორე: ისიც ხო მოგეხსენებათ, რომ ქვეყანას საშინელი არეულ-დარეულობა ჰფლობს და ვიდრე საქართველოს მეფე-წულნი აქედან არ გაიკრიფებიან, ქვეყანა არ დაწყნარდება...

**თურქესტ.** (დააცქერდება) ვინ არის ის მეშვოთარი ქვეყანას რომ ურევს; ვინ არის ის ვაზაკი, იუდის კერძი, გველის თესლი, საქართველოს სამეფოს დამხობას რომ ცდილობს?! (ის აცქერდება, თითქო თვალით უნდა შეჭამოსო).

**ნაცვ.** (ნასირცხვილევი, არ უცქერის თვალებ-დახრილი) დრო და გარემოება... (კილოს იცვლის) მაგრამ, ბატონო ჩემო, მე მაგდონი არა მცალიან, პასუხი ან დილითვე უნდა ეუწყოს ჰენერალ ლაზარევს.

**თურქ.** რა პასუხი?

**ნაცვ.** დედოფალი მარიამ თავის ნებით მიბრძანდება თუ არა რუსეთს?

**თურქ.** ასე რომ არ მოხდეს და დედოფალმა არ ინებოს ფეხის მოცვლა (აცქერდება).

**ნაცვ,** მაშინ იძულებულ ვიქნები...

II. იგნივე **და ამილახორი.**

**ამილახ.** (ბოლო სიტყვებს მოუსწრებს) რაიო?

**ნაცვ.** (განაგრძობს) იძულებული ვიქნები, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, დედოფალი ძალით გავისტუმრო.

**ამილ.** (დაცინვით) ძალით? შენა?! ხა, ხა! ხა, არა, ამ საქმეზე რუსთ ხელმწიფის ჰენერალს უფრო უკეთესი აცის გამოგზავნა ემართა.

**ნაცვ.** მე ვმოქმედებ რუსთ ხელმწიფის, ამიერიდან ჩვენი უზენაესი მბრძანებლის კანონით და მისი ხელქვეითის ბრძანებით, რათა მოღალატენი აილაგმნენ.

**ამილ.** (სიბრაზით გაანჩხლებული) მაწანწალავ! ამიერიდან აღარ გაბედო მსგავსი სიტყვები, თორემ ენით ამოგკიდებ!..

**ნაცვ.** მაგასაც ვნახავ... მაშ უარია! (სწრაფად მიდის).

**ამილ.** საზიზღარო! (მოუბრუნდება თურქესტანიშვილს, წინ გადმოიყვანს საიდუმლო კილოთი) რა ჰქმენით?

**თურქ.** ვერ იქმნა, საქმე საქმეზე ვერ მოდის. დავით ბატონიშვილს ამოუჩემებია: ვიდრე რუსთ ხელმწიფე— ჩემი დიდი იმპერატორი არ მიკურთხებს სკიპტრას, სამეფო გვირგვინს ვერ დავიდგამო, იულონის მომხრენი ცალკერძ ძალაობენ: თუ იქნება—ისევე იულონი უნდა იყოს მეფედ, დავითი რუსობის მომხრეაო, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთის მხრით გვიტევს—მამიჩემის ტახტი ჩემი ძმის გიორგის სიკვდილის შემდეგ ყოვლთ ფწინარეს მე მეკუთვნის, როგორც უხუცეს ძესა და არა ჩემი ძმისწულსაო... რაკი შეთანხმება ვერ მოხდა, სოლომონ ლიონიძემ იმერეთით მოითხოვა: მოქალაქეთა დარბაზი შევადგინოთ და სამეფოს გამგებელი ერის ხმით ამოვირჩიოთო. .

**ამილ.** (დუმილით უსმენდა) არეულ-დარეულობას კი მაინც ბოლო არ ელება... სამეფო ირღვევა და იღუპება...

**თურქ.** ნუმც იქნების ეგე!..

**ამილ.** მთავარმართებელ ციციშვილსა და ჰენერალ ლაზარევს ისიც შეუტყვიათ, რომ მარიამ იმერეთს აპირებდა გადასვლას და ყოველ გზა-ჯვარედინზე დარაჯები დააყენეს...

**თურქ.** ქვეყანა ჯაშუშებით აივსო. რაღა გვეშველება, თუ მარიამ დროით არ გადვიყვანეთ იმერეთს?

**ამილ.** სოლომონ ლიონიძის აზრი უფროა ჭკუაში მოსასვლელი. ოღონდ ჩქარა იყოს და ჩვენი რჩეული ხმითა ერისათა მალე დავადგინოთ...

**თურქ.** მოქალაქეთა აზრიც ეგ არის, მხოლოდ ოსეფა ბებუთაშვილი, ეგნატე და სულხან თუმანიშვილები არიან სომხებითურ, რომ მოქალაქეთ და მეფის წულთა ერთ ნაწილს აქოთქოთებენ...

**ამილ.** სწორედ მაგიტომაც უნდა დავაჩქაროთ ჩვენი განზრახვის აღსრულება. აბა, მოწინავენი დროით შეჰყარეთ და მე ჩემის მხრით ვეცდები დედუფალი დავითანხმო: რაკი ერის გარკვეულ ხმას გაიგონებს, არც მარიამი ეურჩება!..

III **იგივე და მსახური.**

**მსახური.** ბატონო, რუსის: ჰენერალი გეახლათ: დედოფალის ნახვა მსურსო. (ამილახორი და თურქესტანიშვილი შეჩოჩქოლდებიან).

**ამილ.** (თურქესტანიშვილს) აბა, შენ შენი შეასრულე! (დედოფალთან შედის. თურქესტანიშვილი მიდის კარებში ლაზარევი შემოეყრება)

IV იგნივე, **ლაზარევი და ნაცვალი.**

**ლაზ.** პასუხს ველარ დავუცადე და თვით გიახელით.

**თურქ.** (ცივად მიესალმება) ინებეთ ბატონო!

**ამილ.** (ხმა დედოფლის ოთახში) თვით ლაზარევი გიახლათ... შემოვიდა კიდეც.

**მარ.** (ხმა) ყველაზე მეტად უზრდელობა მძაგს...

**ლაზ.** დედოფალი შინა ბრძანდება? იმპერატორის სახელით მოვითხოვ, რომ... (მსახური გადის)

V იგინივე **მარიამი და ამილახორი.**

**მარ.** (მოილაპარაკებს) საქართველოს დედოფალი, რძალი ერეკლე მეფისა და მეუღლე გიორგი მეთერთმეტისა, თავის ბინაზე მაინც უნდა იყოს ხელშეუხებელი...

**ლაზ.** (უზრდელად თავს დაუკრავს) გიახელით, რომ...

**მარ.** (ოდნავ თავს დაუკრავს, გოროზად) დაბრძანდით! (ავა ტახტზე და მუხლმოკეცით დაჯდება) რას გვიბრძანებთ იმპერატორის ხელის უფალო?

**ლაზ.** ჩემის იმპერატორის ბრძანება სამეფო საიდუმლოებას შეიცავს, ამიტომ... (მიჰხედ მოხედავს მუნ მდგომთ ნაცვალს) გარედ მომიცადეთ. (ნაცვალი გადის)

**მარ.** (ამილახვარს) სახლთუხუცესო, დამტოვე!

**ამილ.** (დიდებულს თვალით ანიშნებს წადით, გადის. თურქესტანიშვილი მიდის ეჭვით).

**მარ.** ინებეთ და მიბრძანდით.

**ლაზ.** ვიდრე იმპერატორის ბრძანების აღსრულებას შევუდგებოდე, დედოფალო, ერთხელ კიდევ მოგახსენებთ, რომ თქვენის კეთილგონიერებით შეგიძლიანთ პირადი თქვენი ცხოვრება და ცხოვრება თქვენის ერისა სანატრელ ყოფაში ჩააყენოთ... (ახლო მიიწევს) მე ეს შემიძლიან... მე განუსაზღვრელი უფლებანი მაქვს მონიჭებული და ჩემს სიტყვას დიდი მნიშვნელობა ექნება...

**მარ.** (ცივად, თითქმის ზიზღით) რას ბრძანებს იმპერატორი?

**ლაზ.** მაშ ჩემს რჩევას არ ისმენთ?

**მარ.** მე ჯერ იმპერატორის აზრი უნდა ვიცოდე...

**ლაზ.** იმპერატორის ბრძანება ქართველი ერი დამშვიდდეს, დაწყნარდეს და მოქალაქეობრივ ცხოვრებას შეუდგეს. იმპერატორს კარგად მოეხსენება, რო მთელი ქართლ-კახეთის მეამბოხენი შენ გთავაზობდენ საქართველოს დროშას, რათა სათავეში ჩასდგომოდი, და ბრძოლა დაგეწყო რუსთ გასარეკავად, მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდით: მეამბოხეთა მეთაურნი ციხეში ლპებიან და თვით იმ შეპყრობილთა ნათესავები თხოულობენ შენს აქედან გაძევებას, დასჯასაც კი... მაგრამ იმპერატორი სულგრძელია: იგი ფიქრობს პირადი თქვენი ცხოვრება უკეთეს პირობებში მოექცეს.

**მარ.** (ეჭვით) მერე ვინ მპირდება მაგას?

**ლაზ.** თვით იმპერატორი.

**მარ.** მან პირობა დაარღვია: ძე ჩვენი ჯერაც არ დაუმტკიცებია სამეფო ტახტზე

**ლაზ** ეს ხდება თქვენსავე საკეთილდღეოდ... აზრი და ფიქრი იმპერატორისა განუზომელია და მიუწდომელი...

**მარ.** ერი ჩემი კი სიკეთეს დღესაც ვერ ხედავს...

**ლაზ.** ამ სიკეთეს თქვენი ერი მაშინ ნახავს, როცა რუსეთის იმპერატორს დაემორჩილება და თქვენ თქვენის შვილებით და მაზლებით რუსეთს გადასახლდებით. განა თქვენ, დედოფალს, შეგფერით ასე ღარიბულად ცხოვრება, გამწარება?! რა არის აქ საამო? თქვენ უნდა გადასახლდეთ პეტრეს ქალაქს ანუ მოსკოვის სამეუფო საბრძანებელში და ისეთ ცხოვრებას დაეწაფოთ, ვითარცა თქვენ ხარისხს შეჰფერის...

**მარ.** ჩემი ბედნიერება მხოლოდ ჩემს ქვეყანაშია შესაძლებელი. იმპერატორს თუ ჩემი და ჩემი ერის კეთილდღეობა სურს, მტკიცედ შეასრულოს ის პირობანი, რაიც ჩვენს წინაშე დასდო... მაშინ ჩვენი მეგობრობა უფრო განმტკიცდება. მანამდე კი ნუ ელის, რომ საქართველო დაწყნარდეს...

**ლაზ.** იმპერატორმა უკეთ იცის რა როგორ გააკეთოს.

**მარ** თავისთვის კი. ჩვენი ქვეყნის ავი და კარგი კი ჩვენ უკეთ ვიცით.

**ლაზ.** ქვეყანა თქვენი თქვენს ხელთ აღარ არის. ამიერიდან ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის განუყოფელ გუბერნიას შეადგენს.

**მარ.** უწინამც დღე დაელევა მაგის მთქმელს.

**ლაზ.** (წამოდგება) ქალბატონო! თქვენი ბედი გადაწყვეტილია: თქვენ რუსეთს უნდა გადასახლდეთ.

**მარ.** (გოროზად) თქვენს წინაშეა საქართველოს დედოფალ მარიამი და არა თქვენი მოახლე!

**ლაზ.** იყო და აღარ არის.

**მარ.** მიბრძანდით ჩემის დარბაზიდან!

**ლაზ** ტყუილად სცხარობთ: აქ რუსთ სამფლობელთა.

**მარ.** ვიდრე ერთი ქართველი მაინც ისუნთქავს. მისს მიწა-წყალს უცხო ტომი ვერ ეუფლების. ამიტომ განმეორებით ვბრძანებ: გაბრძანდით აქედან!

**ლაზ.** იმპერატორის სახელით გიბრძანებთ ახლავე ადგეთ და გამომყვეთ! შავი ეტლი გარედ გელით რუსეთისკენ გასასვლელად. თქვენი ნათესავები ყველანი უკვე რუსეთს არიან და თქვენ მიგელიან! დიახ, როდესაც არ გინდათ თქვენდამი მონიჭებული სილამაზით ისარგებლოთ, და ცხოვრებით დასტკბეთ, მაშინ ამ ცივ ზამთარში რუსეთს უნდა გაუდგეთ.

**მარ.** (განრისხებული შეჰყურებს) უტიფარო!

**ლაზ.** (მიუახლოვდება, უნდა ხელი შეახოს) ლამაზი ქვრივის იარაღი სიკაპასე და მწარე სიტყვებიია. გადმობრძანდით!

**მარ.** შორს! ვიდრე საქართველო სცოცხლობს, მისი დედოფალი ხელშეუხებელია!

**ლაზ** საქართველო აღარ არის, საქართველო დადუნდა...(ხელს სტაცებს ჩამოსაყვანად) საქართველო მოკვდა.

**მარ.** უმალ მაგის მთქმელი დადუნდება და მოკვდება!(უცებ ბალიშის ქვეშიდან ხანჯალს იძრობს და გულში ჩასცემს). არ მომშორდი, მესისხარო, და, აჰა, ესეც შენ!

**ლაზ.** ვაი! (რევოლვერისკენ ხელს გაიწვდის, მაგრამ ველარ იძრობს და დაეცემა).

**ნაცვ.** (კარებში იჭვრიტებოდა მოყურადებული, თავს შემოჰყოფს და უცებ შესძახებს) რუსეთის ჰენერალი მოჰკლეს!.. აქ ბოროტმოქმედებაა! (მიიმალება)

**ამილ.** (შემოვარდება) ვაშა, დედოფალო! მარჯვე დაკვრა იყო, მაგრამ ამიერიდან საქართველოს მზე ჩაესვენა!

**მარ.** (ამაყად და მტკიცედ) არა! ამიერიდან უფრო ბრწყინვალედ დაიწყებს კაშკაშს მტრის სისხლში განბანილი მზე საქართველოსი!.. დეე, ჩვენს ძველს დამხობილ მამულზე აღმოცენდეს ახალი ნერგი და ამისი პირველი მსხვერპლიც თუნდა მე ვიყო! მწამს, ამიერიდან ერი საქართველოსი უფრო შეიყვარებს მამულსა თვისსა და უპატრონებს...

**ამილ.** (ქუდ მოხდით ზეცად აღაპყრობს თვალებს).

**ნაცვ.** (კარებში გამოჩნდება ჯარისკაცებთან, მარიამისკენ ფეხს გადასდგამს, ხელს ასწევს, მაგრამ მარიამი გოროზად გადაჰხედავს. ნაცვალი გაშეშდება, ხელს დაუშვებს, წელში მოიხრება; ჯარისკაცნი აქეთ-იქით ამოუდგებიან მარიამს; მარიამი ამაყად სდგას და გოროზად შეჰყურებს მათ).

**ამილ.** საქართველოს ვარსკვლავი მოსწყდა! ცა დაბნელდა!

**მარ.** (ღრმა რწმენით) არა! ხელახლად აღმობრწყინდება და სამშობლოს ცა უფრო განათდება!

ფ ა რ დ ა.

მატარებელში ხაშურიდან მარელისამდე. **იოსებ იმედაშვილი.**
22/II-20.

ო გვარდიის ცხენოსანთა პოლკის ოფიცრების და გვარდიელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ადერბეიჯანთან ომში თავი ისახელა.



ოლუა.
დაიჭ. წით. ხიდ.



გ. შენგელია.
უფროსის თანაშემწე.



გ. ხიმშიაშვილი.
პოლკის უფროსი



დ. წერეთელი.
უფროსის თანაშემწე.



გ. გელოვანი.
მეორე ასეულის უფროსი.



ი. რ. ამილახვარი.
უფრ. ოფიცერი.



ს. მაჭავარიანი.
გვარდიელი, მოკლული.



ნ. კორინთელი.
გვარდიელი. მოკლული.



კ. კობიაშვილი.
გვარდიელი, მოკლული.



ვლ. ჯაში, 2. ი. ხარბედია, 3. არ. ანდღულაძე, 4. მ. მხეიძე, 5. ვლ. ნიკოლაიშვილი, 6. ზემდეგი ი. შელია, 7. ი. დოშვილი, 9. ბოკუჩავა, 10. ი. ხუციშვილი, 11. ქ. კახიანი, ვ, ხუნდაძე. 12. ზემდეგი. მ. ხვიჩია, 13, პ. ქარსელაძე.

# სახალხო გვარდიის ცხენოსანთა პოლკი.

უსაშინელეს არევ-დარევის და მსხვრევა-მტვრევის დროს იშვა თავისუფალი საქართველო. მარტო, თავის ბედის ანაბარად დარჩენილი, უამრავ მტრებით იყო გარემოცული ირგვლივ და თუ არა უდიდესი ნების ყოფა და სიმტკიცე ჩვენი დემოკრატიისა, სულ ადვილად განადგურდებოდა იგი. პირველი მტკიცე, ფოლადისებრივი კედელი საქართველოს მტერთა წინააღმდეგ სახალხო გვარდიაა. ამ სახალხო გვარდიის საუკეთესო ნაწილად ითვლება მისი ცხენოსანთა პოლკი. ეს პოლკი შესდგა საქართველოს თავისუფლების გარიჟრაჟზე და ამ დღიდან მოკიდებული თავდადებით იბრძვის რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ. ამ პოლკის სარდალია სამაგალითო ადამიანი და წრფელი მამულიშვილი პოლკოვნიკი გ. ხიმშიაშვილი

ამ პოლკმა დიდად ისახელა თავი ადერბეიჯანთან ომის დროს. იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მდგომარეობა ღებულობდა სერიოზულ ხასიათს და თუ გვარდიის ცხენოსანი პოლკი არა, სახიფათო მდგომარეობა შეიქმნებოდა. დღესაც ეს პოლკი მტკიცედ სდგას თავის ერთხელ არჩეულ გზაზე და მზად არის თავზარი დასცეს სამშობლოს და თავისუფლების მტრებს.

,,ვისაც მოუკლავს ის მოჰკლავს
ნადირსა შავის ტყისასა.
ვინც დახვდა, იგივ დახვდება,
გულ და ღულ რაზმსა მტრისასა.‘‘

**გრიშა და შაქრო.**

# სოციალისტი სტუმრები ხელოვნების საღამოზე

(ჩემი შთაბეჭდილება საზეიმო წარმოდგენაზე)

ხუთშაბათს. ენკენისთვის 16, სოციალისტ სტუმრების პატივსაცემად საქართველოს დემოკრატიამ სახელმწიფო თეატრში გამართა საზეიმო წარმოდგენა, სამი განყოფილებით: 1—მისალმება საქართველოს ყველა დარგის ხელოვანთა წარმომადგენელთაგან კ. მაყაშვილისა და გრ. რობაქიძის სახით, 2—ხალხთა ცეკვა სცენაზე ხალხთა შორის გაერთიანების აპოთეოზით და 3—„აბესალომ და ეთერი“ (მეორე მოქ).

თეატრი მაღლიდან ძირამდე გაჭედილი იყო ხალხით. ყველა ადგილი, საცა კი შესაძლო იყო სკამის მოთავსება, დაკავებული იყო. მიუხედავად ამისა დიდი უმრავლესობა წარმოდგენას ვერ დაესწრო. მხედველობაში მაქვს ორიოდე სიტყვა ვსთქვა საერთაშორისო ხალხთა ცეკვისა და აპოთეოზის დადგმის შესახებ, ე. ი. ინტერნაციონალის მისწრაფების პერსპექტივებზე. და ცხად ვყო ჩემი შემეცნება იმ დედა-აზრზე, რომელსაც გამოხატავს სიტყვა „ინტერნაციონალი‘‘. ბევრს ჰგონია ვინც ინტერნაციოლიზმის იდეებს იზიარებს, არ უნდა ეკუთნოდეს ერთ-ერთ რომელიმე ერს, რომელიმე ნაციას, მას არ უნდა ჰქონდეს სამშობლო, რადგან იგი ინტერნაციონალიზმის იდეების ზიარებით ზურგს აქცევს როგორც თავის სამშობლოს, აგრეთვე თავის ერს თავის ნაციას და ამის შემდეგ თავის თავს ისახავს მთელი ქვეყნიერობის მოქალაქედ და სამშობლოდ—მთელ კაცობრიობას. რასაკვირველია, ეს ასეც უნდა იყოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტს უნდა ახსოვდეს და არაოდეს არ ავიწყდებოდეს ის ურყევი ჭეშმარიტება, რომ იგი უპირველესად ყოვლისა არის შვილი თავის ერისა და მოქალაქე თავისი სამშობლოსი.

შემოქმედმა თავისი ქმნილებანი, სულიერი და უსულო, გამოჰხატა მრავალ სახეობაში, მრავალ ფეროვნებაში. და არა ერთსახეობაში, ერთფეროვნებაში. ეს მრავალსახეობა, ეს მრავალფეროვნება თავის თავად ჰქმნის მომხიბლავ ჰარმონიას. სიმშვენიერეს და სიმშვენიერეკი, როგორც სთქვა რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა დოსტოევსკიმ—,,იხსნის ქვეყანას‘‘.

ერთსახეობა, ერთფეროვნება იგივე უშნოობაა, დიჰარმონიაა, ქაოსია. წარმოუდგენელია კაცობრიობა ერთი ფერის, გარეშე სხვა და სხვა ერთა შეჯგუფებისა, ისე როგორც წარმოუდგენელია ცხოველთა და მცენარეთა სამეფონი სხვა და სხვა მოდგმათა შეუჯგუფებლად. როგორც წალკოტი სხვა და სხვა მოდგმის ყვავილებითაა შედგენილი, აგრეთვე კაცობრიობაც სხვა და სხვა ერებით სხვა და სხვა ნაციებით უნდა იყოს შედგენილი, მხოლოდ იმ უეჭვო და უდავო პირობით, რომ ყოველი სათითაო წევრი ამ კაცობრიობისა თითოეული ერის, ნაციის სახით უნდა ილვწოდეს საერთო, საკაცობრიო მიზნებისა კენ მისწრაფების ლტოლვით.

ჩვენ, მომაკვდავთ, არ უწყით მიზანი ჩვენი და ქვეყნის არსებობისა, მაგრამ ინსტიქტით ვგრძნობთ, რომ მოწოდებულნი ვართ ქვეყნად შევასრულოთ რაღაც დანიშნულება, რომლის მიზანი შემოქმედის საიდუმლოებაა. ყოველი პიროვნება, როგორც ერთეული, ყოველი ეროვნება, როგორც ჯგუფი ერთი მოდგმის, მოვალენი არიან ილვწიონ, მიიტანონ საკაცობრიო სამსხვერპლოზე თავისი გონების, ჭკუისა და გულის ნაწარმოები წვლილი ისე, როგორ ჩანგზე სხვა და სხვა ხმიან სიმებს მიაქვთ სათითაოდ ყველა მათგანს თავისი საკუთარი ბუნებისაგან მინიჭებული ხმის კილო და მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი სიმი განირჩევა დანარჩენთაგან ხმის კილოთი, მათ შორის ჰხდება ერთგვარი შეთანხმება, შეხმატკბილება, რის შედეგათ ყურთა სმენისათვის სანეტარო ჰარმონია იბადება. ასეთი სანეტარო ჰარმონიის დაბადება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ყოველი თითოეული სიმის დანარჩენებთან შეხმატკბილებით, შეთანხმებით და ვინც ამ შეხმატკბილებას, შეთანხმებას ხელს შეუშლის, იგი არღვევს ჰარმონიას, ჰარმონიის დარღვევა კი ჰქმნის ქაოსს.

სცადეთ და გაჭიმეთ ჩანგზე ყველა ერთხმოვანი სიმები რა გამოვა? ერთხმოვანება, ჰარმონიას მოკლებული, ანუ შევრიხეთ ყველა სიმები და ისე გაჭიმეთ ჩანგზე,—რა გამოვა? არაფერი, ჩანგი დამუნჯდება. ასეთივეა და მოკიდებულება სხვა და სხვა ერისა კაცობრიობასთან თუ სხვა და სხვა ხმის მქონე სიმებს ვიგულისხმებთ სხვა და სხვა ერებად და ჩანგს კი—კაცობრიობად.

დაუბრუნდეთ საზეიმო წარმოდგენას.

სცენის ორივე მხრიდან შემოდიან ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელნი თავიანთ

ვროვნულ ტანსაცმელში, ეროვნულ (ნაციონალური) დროშებით და შემდეგ ურთიერთ მისალმებისა, მწყობრად ემწკრივებიან სცენაზე. ყველას მათ აერთებს ინტერნაციონალური დროშები, იმართება საერთაშორისო ცეკვა, რომელიც გვირგვინდება ჩვენებური ლეკურით.

ჩაჰქრა ელექტრონი. ორი—სამი წუთის სიბნელის შემდეგ განათდა სცენა, გაიხსნა ფარდა და მაყურებელთ თვალ წინ წარმოუდგა ფრიად ალმტაცი სურათი; შუაში, სცენის სიღრმეში აღმართული საქართველოს დიდი ღერბი, მის ქვეშე, კიბის ზევითა საფეხურზე დგას მანდილოსანი —სიმბოლო საქართველოსი,— მარცხენა ხელით გულზე მიუფარებია ფარი სახელმწიფო ღერბით, მარჯვენაში კი უპყრია ელექტრონის სინათლით აპრიალებული მახვილი. ორი-სამი საფეხურით დაბლა ერთი მხრით დგას დასავლეთის, ხოლო მეორე მხრით აღმოსავლეთის საქართველოს წარმომადგენელი—ერთი ჩოხაში, მეორე ქულაჯაში, მათ უკან მთელი სცენის სიგრძეზე ორივ მხრივ გამწკრივებულან წარმომადგენელნი სხვა და სხვა ერებისა. ყველანი ეროვნულ და ინტერნაციონალურ დროშებით

აპოთეოზმა მთელის შემადგენლობით ურთი-ერთთან და სიმებიან ორკესტრთან შეთანხმებული შეხმატკბილებით, ტანში ჟრუანტელის მომგვრელის ხმებით, შესრულა ,,ინტერნაციონალი'', რომელიც აღტაცებული დარბაზის თხოვნით განმეორებული იქმნა სამჯერ

მე არ ძალ მიძს ჩემი სუსტი კალმით სავსებით გადმოვცე ის გრძნობები, რომელნიც ტკბილად აღელვებდნენ გულს ამასთანავე სრულის კმაყოფილებით აღვნიშნავ იმას, რომ ჩემი შემეკნება ,,ინტერნაციონალზე'', რომელიც აქ გამოვთქვი, სრულიად ეთანხმება საერთაშორისო ცეკვისა და აპოთეოზის შინაარსის დედა-აზრს.

საქართველოს დემოკრატიამ ალღო აუღო უცვლელ და შეურყეველ ბუნების კანონებს, ჰარმონიას, ამოირჩია ღირსეული ხელმძღვანელნი, მისცა მათ ხელში ლატანი და შეაყენა ბეწვის ხიდზე, გაიძღოლა წინ და თითონაც უკან გაჰყვა მათ.

უდიდეს საშიშროებას და საბედისწერო ნაბიჯს წარმოადგენდა სიარული ამ ხიდით, სადაც ყოველი უცაბედითი გადახარა მარჯვნივ, ანუ მარცხნივ მათ უქადოდა სრულის დაღუპვით, მაგრამ მოხდა საკვირველ მოქმედება ბეწვის ხიდის უსაშინელესი და უდიდესი ნაწილი განვლილია, და დანარჩენ უმცირეს ნაწილსაც, სრული იმედია, მშვიდობით გაივლიან და მიაღწევენ აღთქმის ნაპირს.

ეროვნულმა შეგნებამ იხსნა საქართველოს ხალხი ფიზიკურ გაჟლეტისაგან და შეგნებასთან ჰარმონიულად შეთანხმებით ინტერნაციონალისაკენ მისწრაფებათა ლტოლვამ შეუნარჩუნა მას რევოლიუციის მონაპოვარი და ჩვენმა ნალხმა ამით მართლადაც და მიიტანა თავისი წვლისაკაცობრიო სამსხვერპლოზე, რასაც უეჭველად ამტკიცებს ევროპის დემოკრატიის წარმომადგენელთა დღევანდელი გულითადი სტუმრობა და მათი ჩვენდამი ყურადღება

ვიომეორებთ: ერის სახე, როგორც ასეთი, არ უნდა გაითქვიფოს სხვა ერებში ამ სახის დაკარგვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოასწავებდა გადაგვარებას და ქართველმა უწყის, რომ **„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია“** და მასთან ასეთი მოვლენა გახდებოდა ბუნების კანონის, ჰარმონიის დამრღვეველ მიზეზად. განა შესაძლებელია, თხა და მგელი ერთ ერთ რაიმე ცხოველად გარდიქმნეს? განა საჭიროა კი ასეთი გარდაქმნა

სრულიადაც არა. საჭიროა მხოლოდ საურთიერთიერთო ცხოვრებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ **,,თხა და მგელი ერთად სძოვდეს''**

მწამს, რომ ქართველი ხალხი ივლის ამ მისაგან ამორჩეულ სწორ და სამართლიან გზით, რომელმაც უკვე მიიყვანა იგი იმ დიად კიბის საფეხურებამდე რომლის მწვერვალზე სუფევს სამყარო **ყველა ერთაგან შემდგარ ერთად ერთ ოჯახისათვის**, ,,რომლის სახელია **კაცობრიობა**, სადაც იხელმძღვანელებენ ერთი **კანონით**, რომლის სახელია **სიყვარული**, სადაც იქმნება ერთი **მოთხვნილება**, რომლის სახელია **ჰარმონია**, ერთი **საშუალება** რომლის სახელია **შრომა და ერთი უფალი**, რომლის სახელია **ღ მ ე რ თ ი''**.

ტარცანელი

# რა არის ხელოვნება?

ი. ე. რეპინისა.

## I.

ხელოვნება ვარჯიშობაა: რაც შეიძლება უკეთესი და უკეთესი ესაა ნიჭი ადამიანისა რაც შეიძლება გააკვირვოს, მოხიბლის გარეშე მაყურებელი თვისის მოღვაწებით, მოქმედობით.

ხელოვნება საარსებო, ყოველ დღიური ადამიანის მოთხოვნილების საგანი კი არაა, იგია ადამიანის სულის ზატიკობა, განცხრომა მისი.

ხელოვნება ორად იყოფა: პირადული და ნივთიერი.

პირადული ხელოვნებაა ფენომენალური ნიჭთა ნაყოფი თან დაყოლილი, ნიშანდობლივი. ინდივიდუალობა, შემუშავებული მეთოდიურად, სპეციალობის მიხედვით, შესაძლებელ სისრულემდი.

პოეზია, როგორც კითხვა, მუსიკა სოლისტისა, გალობა სიმღერა, სცენის ხელოვნება, ცეკვა და ამ დაგვარი ეკუთვნის ხელოვნებას და მჭიდროთ დაკავშირებულია მხატვართან როგორც პიროვნებასთან.

## II.

ნივთიერი ხელოვნებაკი წარმოადგენს განსაკუთრებულს, მშვენიერს ვნების დაგვარად ადამიანისაგან შექმნილს საგნებს. უძვირფასესი საუცხოვო ვაზებიდან დაწყებული ქანდაკებანი, სურათები, ძეგლები, სურთ მოძღვრება, ყველაფერი რაც კი ცხოვრების შვენებას, შეადგენს, რაც აკმაყოფილებს ჩვენს გარშემო ზოგიდი მშვენიერების შთაბეჭდილებით გადმონაცემს მოთხოვნილებას, — ყოველივე ეს შეადგენს ხელოვნების მოვლენას.

III.

საუცხოვო ხელოვნებაა ადამიანის დიდი ხნის, მეთოდიურის გზით შემოქმედება. მეცნიერების მეოხებით ძლიერ გაიზარდა ხელოვნება და კულტურულ ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე უფრო სანუკვარს და ყველაზე უფრო ძვირფასს მოვლენას იგი წარმოადგენს.

ხელოვნება კაცობრიობის გენიოსთა დიდების შემოქმედებაა.

დასაწყისიდანვე ხელოვნება ამკობდა კულტუროსან ერებს, საზოგადოებათა და მეცენატებს ფასდაუდებელის საუნჯით.

ტალანტის სულით გამთბარი მხატვრული ნივთი მუდამ აღძრავს თვისკენ სიყვარულს და კმაყოფილებას მაყურებელში.

IV.

ჩვენთან უფრო დაახლოვებულია ნივთიერი ხელოვნება. ჩვენც აქეთკენ მივაპყრობთ ყურადღებას.

ყველაზე უდიდესი, უგენიოსესი მსოფლიოს მხატვარია ღმერთი.

იგი მსოფლიოს შექმნის დროს თვითეული შემოქმედების ხნის ბოლოს თვისს კმაყოფილებას გრძნობდა, უყვარდა მსოფლიო.

ადამიანიც ყველაზე უფრო თვისის შემოქმედების მოყვარულია.

განსაკუთრებით შეიყვარა ღმერთმა ყველაზე უფრო მასთან ახლოს მყოფი არსება—ადამიანი. მან მისცა მას გონება, ნება, ხოლო ზოგიერთს რჩეულთ კი ტალანტი შემოქმედებისა.

ჩემის აზრით ქვეყნიური ხელოვნებაა განგრძნობა ღვთის შემოქმედობისა, რომელიც განსახიერდება ზეგარდმო ცხებულ ადამიანში.

V.

გონებისაგან სიტყვის ხელოვნებით ქვეყანას მოევლინა სულისგან ცხოვრების დასაწყისი, დასაბამი.

„პირველიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისთანა... და ღმერთი იგი იყო სიტყვა... და მას შინა იყო ცხოვრება და ნათელი კაცთა...“

მეცნიერებაში საუკუნო სიბრძნის გამოცხადება ზოგთათვისაა. მისაწდომი, ხელოვნებით კი ყველა ერი, რომელიც კი სულით ცხოვრობს, ადიდებს შემოქმედს ვისაც როგორ ძალუძს და ვინც როგორ იცის: ს მებით და ორგანოთი, გალობით, როკვით, შესანიშნავი შენობებით, ტაძრებით, საკუროხევლებით, რომელნიც ბრწყინავდენ ყოველივე ხელოვნებით, დასასრულ პირადული აღფრთოვანებით, მორწმუნე წინასწარმეტყველთა მთელის გუნდით, თ ყვანის მცემლებით როგორიც იყო მეფე დავითი, როგორიც იყვნენ ეგვიპტის და ასურეთის ასიფისტები და სხვა ღვთივ განბრძნობილნი არსებანი.

არასოდეს მოკვდება კაცობრიობაში სახელები ჰომეროსისა, ბუდისა, იქტიონოსისა, აფელესისა, დანტესი, ბრუნელესკისა, რაფაელისა, მიქელ ანჯელოსი, ტიციანესი, რებრანდტისა, შექსპირისა, ბეთჰოვენისა, გიოტესი, შოპენისა, პუშკინისა, ტოლსტოისა დასხვათა მრავალთა რჩეულთა

VI

ინსტიქტიურად და მარტივად გრძნობდა პირველყოფილი ადამიანი-მხატვარი ხელოვნებისადმი თვისს მოწოდებას და თვისი სულის საუკეთესო აღმაფრენით ღვთისთვის მისართმევად ჰქონდა გამზადებული.

შემოქმედობის წუთები იყო უუბედნიერესი წუთები მხატვრის ცხოვრებაში და ეწოდება ზეკით მორაბერ

თვით შემოქმედი მოხედავს და აღაფრთოვანებს თვისს რჩეულთ-გენიოსებს და ტალანტებს-საიდუმლოდ უხილავად.

ავქსონები ხშირად თავიანთ შემოქმედობას ამცირებენ, სამუდამოდ შლიან მოღვაწეობაში ზევარმოცხებულ კაბადონებს და გენიოსურ ხაზებს როცა გარშემოზღუდული ადამიანის გონების ლოღიკით ასწორებენ მათ.

ხელოვნებას უყვარს შეუდარებელი სიმამაცე მხატვარში, უსაზღვრო თავდაუჭერელობა, ცოცხალი მომხიბლავობა ახალ- ახალის აღმოჩენისა სიმშვენიერის და პოზიის მიუწდომელ ქვეყანაზე. იგი მიუტოვებს ავქსონს შეცდომებს და ლოღიკურს შეუსაბამობას, მაგრამ არაოდეს აპიტიებს მოდუნებას და გულცივობას შრომისადმი. ჩვენ ვიცით, რომ საფუძვლიანი, ეროვნული ხელოვნება აერთებდა მთელს ერს და იყო უმეტეს ნაწილად რელიგიოზური. როგორც ყველაზე უფრო უძვირფასესი საშუალება, რომელიც მოითხოვდა მრავალს კოლექტიურ ხარჯსა და ჯაფას, მრავალი საუკუნების განმავლობაში ხელოვნება ემყარებოდა უსათუოდ ურყევ რწმენაზე და მსხვერპლზე უზენაესისადმი. როგორც ერთეულები უმეტესს ნაწილად ადამიანები სუსტი, გულ მავიწყი და დაუდეგმელნი არიან უმაღლეს აზროვანებაში. ყველას არ შეუძლია შეაფასოს დიდსულოვან ადამიანთა გენიოსობა, მაგ-კულტურული საზოგადოებანი ცხოვრობენ საერო განათლების ერთის დიდის იდეით.

VII.

როგორც ჰაერი და სინათლე მაღალი წესიერების კაცობრიობისთვის ხელოვნება მიუცილებელია. იგი ასვამს დიდს მოვლენას და მნიშვნელოვანს ანუ სიმშვენიერით უჩვეულებრიო მომენტს და პიროვნებებს აძლევს რეალობას, ამტკიცებს წარმოდგენებს და სულიერი ქვეყნის იდეებს.

ნეტავი იცოდეთ რა რიგად უყვარს გონიერს ადამიანს ყველა ხელოვნების შემოქმედება დრომოჭმული წარსულისა. იგი უშენებს მათ ტაძრებს, მუზეებს, სწავლობს არა თუ დაცულ სიძველეს, არამედ ნატეხებსაცკი. მხატვრობის შემოქმედების ნაწყვეტებს.

კ. გძელი.

# წვრილი ამბები

**ქართული დრამის** სეზონი მეორე სახელმწიფო თეატრში (ყოფ. საარტ.) დაიწყება ლვინობისთვის 12 დაიდგმის შ. დადიანის „გუშინდელნი“. დასში მოწვეულია ყველა თვალსაჩინო ძალა. შემდგარია რეჟისორთა კოლეგია: ვლ. ალ.-მესხიშვილი, ა. ახმეტელი, ა. ქორელი და ა. წუწუნავა. სამხატვრო ნაწილის გამგე და კოლეგიის თავჯდომარეა ა. ფალავა, სამნეო ნაწილის გამგე—პავ. დადვაძე, დირექციის თავმჯ. ნ. შიუკაშვილი. რეპერტუარში შესულია 30-დე პიესა, გაიმართება 200-ის წარმოდგენა (პიესების სიმცირე, წარმოდგენების გამრავლებით). კვირაში 3-4 წარმოდგენა გაიმართება. წარმოდგენები დაიდგმის ჯარისკაცთა, მოწაფეთა და სახალხოც. ჯერჯერობით მომზადებულია 6 პიესა: „გუშინდელნი,“ ,,ოტელო“ ოდიპოს მეფე“, ,,სიცრუე“ ,,ზღვასთან“ და სხ. შემდგარია საგანგებო რეპერტუარო კომისია.

**სახალხო სახლების აშენება** განუზრახავთ ლიხაურს კავთიხევსა, ღანირ-ჰიგანს და სხ.

**ამ ნომერში ვერ მოთავსდა** წერილები და მინიატიურები კ. ვერგესლის, არ. მაჭავარიანის, ს. წერეთელის, და სხ. აგრეთვე სახალხო კომპოზიტორი გ. სვანიძე, რეცენზიები, კრიტიკო-ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და შემოწირულებანი. შემდეგ დაიბეჭდება.

**ყველა თანამშრომელთა** ვსთხოვთ სათეატრო-სახელოვნო ცნობანი მოგვაწოდონ.

**მწერალმა დ. ერისთავმა** დასწერა პიესები 1. ,,ბრძოლა“, 1905 წ. მოძრაობიდან, 4 მოქ., 2. ,,ბედის ბრჭყალებში“, ოჯახური დრამა, 3 მოქ. და 3. ,,სამშობლოს სამსხვერპლოზე“, ერთ მოქმედებიან დრამატიული ეპიზოდი, 1918 წ. თურქთა შემოსევიდან (როცა ავტორი ოზურგეთში მოჰხვდა). პირველი პიესა უკვე გადაეცა სახელმწიფო დრამატიულ დასს.

**სადოსტოქრო სახელმძღვანელო** ,,არტერიების ანუ სისხლის მიმომქცევი მილების გადასკვნა“, ქირურგიული ანატომიითურ შეადგინა ექიმმა დიმ. ერისთავმა. ეს შრომა ოთხი თვის წინად გადაეცა სახელმ. უნივერსიტეტის პროფესორს ბ-ნს კახიანს, თვისი აზრის გამოსათქმელად.

**გარდაიცვალნენ** ილია წინამძღვრიშვილი (ენკენ. 2) და მარიამ წინამძღვრიშვილისა (ენკენ. 9). დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

**წერილი რედაქციის მიმართ.** **ს. ხეთის** (ზუგდიდის მაზრა) რკინის გზის სადგურის მოსამსახურე პეტრე მახარაძემა და მასმა ამხანაგებმა 1 ივლისიდან ადგილობრივ სამკითხველოს გამოუწერეს ,,ერთობა“, ,,თეატრი და ცხოვრება“ და ,,ეშმაკის მათრახი“ მომავალ 1 იანვრამდე, რისთვისაც მადლობას ვსწირავ. **ვ. ნაჭყებია.**

**ახალციხისა და ახალქალაქის** მოწინავე საზოგადოებამ დიდი პატივი მცა სალამოების გამართვით, რის გამოც მათ გულითად მადლობას ვუძღვნი. დაწვრილებით შემდეგ.

**იოსებ იმედაშვილი.**

# გამოვიდა და იყიდება შემდეგი გამოცემანი

**ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა:**

1. **ნ. ჟორდანია.** ტომი I ფასი 110 მან:
2. ,, ,, ,, II ,, 110 ,,
3. ყარიბი. ,,წითელი წიგნი“, 120 ,,
4. პროფ. ავალიანი. „ისტორია“ XVI—VVIII ს. ფასი 120 მან.
5. ა. წერეთელი. „ისტორია“ ნ. I 120 მ.
6. ,, ,, II 120 ,,
7. ივ. ელიაშვილი. ,,დედა-ბუნების ძირითადი კანონები“ ფ. 20 მან.
8. ს. იაშვილი. ,,ბოტანიკა „ 70 ,,
9. ი ზედგინიძე ,,Метод Христоматия,“ ახალი ორთოგრაფიით ნ. I 250 მ.
10. ს. იაშვილი. ,,ევროპა“ 110 მ.
11. ა. ჩხენკელი. ,,ბუნება“ I 120 მ.

# ამ დღეებში გამოვა:

1. ი. ზედგინიძე. ახალი ქართული ანბანი
2. პროფ. ავალიანი. „ისტორია“ XIX და XX დასა[illegible].
3. ა. წერეთელი. ,,ისტორია“ ნაწ. III
4. ჩხენკელი. ,,ბოტანიკა“
5. ს. დათეშიძე. არითმეტ. ამოცანათა კრებული, I კლასის კურსი (მთელი რიცხვები)
6. ივ. ელიაშვილი. ბუნების სარკე
7. კრაევიჩი—ფიზიკა (სისტემ. კურსი) თარგმანი ამბრ. სვანაძის
8. სანიმუშო პროგრამები—უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისა

**მთავარი საწყობი: რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 4-78.**

**პირველი ხარისხოვანი რესტორანი**

# შამპანი!

**ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა**

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

(წლიური)

რედაქტორი **იოსებ იმედაშვილი** გამომცემელი **ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.

[illegible] N 36, [illegible]

[illegible] N. 15–16

m 391 b